

შპს „ხალიბი„

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

----- 3

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

----- 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

-----5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადანყვეტილებები

ძირითადი საშუალებები

არამატერიალური აქტივები

შპს „ხალიბი“, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21409	144257	56826
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	235369	41666	185216
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	2072742	1835586	1415498
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	1086	0
სხვა არამატერიალური აქტივები	8718	8594	7156
ძირითადი საშუალებები	1290951	1265106	660666
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	500000
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3629189	3296295	2825362
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	770478	850083	1179751
ანარიცხები	0	0	621
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	32501	57171	4509
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	173705	288062	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	952	0	0
სულ ვალდებულებები	977636	1195316	1184881
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2651553	2100979	1640481
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2651553	2100979	1640481
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3629189	3296295	2825362

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 27 სექტემბერს.

ბნ. ირაკლი გოგოშიძე, დირექტორი

მოგება გარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

პპს „ხალიბი“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21409	144257	56826
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	235369	41666	185216
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები მარაგები	0	0	0
საინვესტიციო ქონება	2072742	1835586	1415498
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	1086	0
ძირითადი საშუალებები	8718	8594	7156
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	1290951	1265106	660666
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	500000
სულ აქტივები	3629189	3296295	2825362

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	770478	850083	1179751
ანარიცხები	0	0	621
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	32501	57171	4509
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	173705	288062	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	952	0	0
სულ ვალდებულებები	977636	1195316	1184881
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2651553	2100979	1640481
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2651553	2100979	1640481
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3629189	3296295	2825362

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 27 სექტემბერს.

ბნ. ირაკლი გოგოშიძე, დირექტორი



საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	13410791	12901280
საქონლის გაყიდვიდან	13410791	12901280
მომსახურების განწევრიდან	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-11150245	-10786772
საერთო მოგება	2260546	2114508
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	34459
დასაქმებულთა ანაზღაურება	-848417	-735902
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-112563	-71159
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	-23997
იჯარის ხარჯი	-34500	-53331
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-396829	-334607
სულ საოპერაციო ხარჯები	-1392309	-1184537
საოპერაციო მოგება	868237	929971
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით	0	-63144
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-27716	-26530
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	840521	840297
მოგების გადასახადის ხარჯი	-43868	-23041
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	796653	817256

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 27 სექტემბერს.

ბნ. ირაკლი გოგოშიძე, დირექტორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

პოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

აანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	13410791	12901280
საქონლის გაყიდვიდან	13410791	12901280
მომსახურების გაწევიდან	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-11150245	-10786772
საერთო მოგება	2260546	2114508
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	34459
დასაქმებულთა ანაზღაურება	-848417	-735902
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-112563	-71159
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	-23997
იჯარის ხარჯი	-34500	-53331
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-396829	-334607
სულ საოპერაციო ხარჯები	-1392309	-1184537
საოპერაციო მოგება	868237	929971
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით	0	-63144
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-27716	-26530
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	840521	840297
მოგების გადასახადის ხარჯი	-43868	-23041
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	796653	817256

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 27 სექტემბერს.

ბნ. ირაკლი გოგოშიძე, დირექტორი



საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუ ნაწილებ ელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	-	0	1,640,481	1,640,481
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-			-
წმინდა მოგება	-	-	817,256	817,256
სხვა სრუ ღირებულება	-	-	-	-
პერიოდის სრუ ღირებულება	-	-	817,256	817,256
გაცემუ ღირებულება	-	-	(356,758)	(356,758)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	2,100,979.12	2,100,979
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-			-
წმინდა მოგება	-	-	796,653	796,653
სხვა სრუ ღირებულება	-	-	-	-
პერიოდის სრუ ღირებულება	-	-	796,653	796,653
გაცემუ ღირებულება	-	-	(246,079)	(246,079)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	2,651,553	2,651,553

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 27 სექტემბერს.

ბნ. ირაკლი გოგოშიძე, დირექტორი

:

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

აკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

აანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებ ელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	-	0	1,640,481	1,640,481
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	817,256	817,256
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	817,256	817,256
გაცემული დივიდენდი	-	-	(356,758)	(356,758)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	2,100,979.12	2,100,979
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	796,653	796,653
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	796,653	796,653
გაცემული დივიდენდი	-	-	(246,079)	(246,079)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	2,651,553	2,651,553

ინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 27 სექტემბერს.

ბნ. ირაკლი გოგოშიძე, დირექტორი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
აანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	12/31/2022	12/31/2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	796.653	817.256
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	156.431	51.407
- გადასახადები	43.868	23.041
- ივრეთა	112.563	71.159
- საგაწრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
- მარაგების გაუფასურება	-	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-
- ივლილება ანარიცხებში	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ბიოლოგიური რესურსების სამართლიანი ღირებულების ივლილებიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ივლილებიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	24.337
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	-	(91.127)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	-	23.997
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	-
ივლილებები საშუალო კაპიტალში	(489.227)	(532.003)
- საგაწრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(193.702)	143.550
- მარაგები	(237.156)	(420.088)
- საგაწრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(79.604)	(329.669)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	19.198	75.911
- გადასახადები ლიკვიდაციისთვის	-	-
- ანარიცხები	2.038	(1.707)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	463.856	336.660
- მიღებული ლიკვიდური	-	-
- გადახდილი ლიკვიდური	-	(23.997)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(87.736)	(46.290)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	376.120	266.374
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(138.532)	(201.374)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციის მიღებული ლიკვიდური	-	-
- ბიოლოგიური რესურსების შეძენა	-	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა	-	-
- მიღებული ლიკვიდური	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(138.532)	(201.374)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- სანქსიონო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	-
- სასესიო ვალდებულების ზრდა	-	458,222
- სასესიო ვალდებულების დაფარვა	(114,357)	(170,160)
- გადახდილი დივიდენდები	(246,079)	(356,758)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(360.436)	(68.696)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო	(122.847)	(3.696)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო	144,256	56,826
გაყვანილი კურსის ექვივალენტის განაწილება ლიკვიდური	-	91,127
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო	21.409	144.256

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 27 სექტემბერს

ბნ ირაკლი გორგოშიძე დირექტორი: -----

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან
წმინდა მოგება

12/31/2022 12/31/2021

796,653 817,256
 156,431 51,407
 43,868 23,041
 112,563 71,159

- გადასახადები
 - ცვეთა
 - სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი
 - მარაგების გაუფასურება
 - ძირითადი საშუალებების გაუფასურება
 - ცვლილება ანარიცხებში
 - (შემოსულობა)/ზარალი ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან
 - (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან
 - (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან
 - (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან
 - წმინდა ფინანსური ხარჯი
 - დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი
 - ცვლილებები სამუშაო კაპიტალში

(489,227) (532,003)
 (193,702) 143,550
 (237,156) (420,088)
 (79,604) (329,669)
 19,198 75,911
 - -

2,038 (1,707)
 463,856 336,660

- მიღებული პროცენტი
 - გადახდილი პროცენტები
 - გადახდილი მოგების გადასახადი

(87,736) (46,290)
 376,120 266,374

(138,532) (201,374)

- ძირითადი საშუალებების შეძენა
 - ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები
 - ბიოლოგიური აქტივების შეძენა
 - საინვესტიციო ქონების შეძენა
 - მიღებული დივიდენდები

- -
 - -
 - -
 - -
 (138,532) (201,374)

(138,532) (201,374)

- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)
 - სასესხო ვალდებულების ზრდა
 - სასესხო ვალდებულებების დაფარვა
 - გადახდილი დივიდენდები

- -
 - 458,222
 (114,357) (170,160)
 (246,079) (356,758)

(360,436) (68,696)

(122,847) (3,696)
 144,256 56,826

- 91,127
 21,409 144,256

21,409 144,256

21,409 144,256

21,409 144,256

21,409 144,256

21,409 144,256

21,409 144,256

21,409 144,256

ინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსაღებნად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 27 სექტემბერს

ნ ირაკლი გორგოშიძე დირექტორი:



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ხალიბი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 30 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 415082760

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დამფუძნებლები არის სამი ფიზიკური პირი. კომპანიის მმართველობის ორგანო პარტნიორთა კრება.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

მომზადების საფუძველი

ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განზოგადებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში: პერიოდის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში: საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის, პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2020 წლის თებერვლიდან ქვეყანაში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევები. ვირუსმა და აგრეთვე მისი გავრცელების აღკვეთის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად დააზიანა ქვეყნის ეკონომიკური გარემო. 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობა და შებენიერი იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება, თუმცა კომპანიამ შეძლო საერთო მოგების მარჯის შენარჩუნება. კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი და კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2023 წლის 27 სექტემბრის.

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვანოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო

შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი განვეის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	50 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით, საწყობების მიხედვით.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოითმანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	3.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3,5040

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლობის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

4. ძირითადი საშუალებები

	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიაცი და სხვა ინვენტარი	იჭირით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	ოფისის აღჭურვი ლობა	მინა	დაუმონტა ჟებული მოწყობილ ეები	ჯამი
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	566,451	74,082	122,147	35,172	136,572	-	621,893	-	1,556,318
შესყიდვა	38,283	12,908	17,416	1,012	58,039	-	12,264	-	139,922
გასვლა	-	-	8,486	-	21,154	-	-	-	29,640
გაუფასურება									-
შიდაჯგუფური რეკლასიფიკაცია									-
გადაფასების რემერვი									-
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	604,735	86,990	131,078	36,184	173,456	-	634,157	-	1,666,600
დაგროვილი ცვეთა									
2021 წლის ბოლოს მდგ	120,989	35,462	80,347	6,982	47,432	-	-	-	291,212
ცვეთის ხარჯი	59,364	12,900	20,887	-	18,690	-	-	-	111,840
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		-	8,379		19,024				27,403
2022 წლის ბოლოს მდგ	180,352	48,361	92,855	6,982	47,098	-	-	-	375,649
საბალანსო ღირებულება									
2021 წლის ბოლოს	445,463	38,620	41,801	28,190	89,140	-	621,893	-	1,265,106
2022 წლის ბოლოს	424,382	38,628	38,223	29,202	126,358	-	634,157	-	1,290,951

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამები ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2021 წლის ბოლოს	12,443		12,443
შემოსავლა	847		847
გასვლა	-		-
2022 წლის ბოლოს	13,290	-	13,290

	პროგრამები ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია			
2021 წლის ბოლოს	3,849		3,849
პერიოდის ამორტიზაცია	723		723
გასული წლის დაგროვილი ამორტიზაცია	-		-
2022 წლის ბოლოს	4,572	-	4,572

	პროგრამები ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება			
2021 წლის ბოლოს	8,594	-	8,594
2022 წლის ბოლოს	8,718	-	8,718

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
ნაღდი ფული სალაროში	19,089	28,222
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,320	116,035
სულ	21,409	144,257

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	235,369	41,666
გადახდილი ავანსები	-	-
მოთხოვნა სანარმოს პერსონალის მიმართ	-	-
მოთხოვნა დაკავშირებულ მხარეებისადმი	-	-
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	-	-
სხვა მოთხოვნები	-	-
სულ	235,369	41,666

8. მარაგები

მარაგები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
ნედლეუ ლი და მასალები	2,071,176	1,833,909
დაუ მთავრებელი წარმოება	-	-
მზ ა პროდუ ქცია	1,567	1,677
სხვა სასაქონლო-მატერიალუ რი მარაგები	-	-
სულ	2,072,742	1,835,586

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	770,478	850,082
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
მიღებული ავანსები	-	-
სულ	770,478	850,082

10. სესხები

	31/12/2022	31/12/2021
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	173,705	288,062
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
	173,705	288,062

11. ამონაგები

შემოსავალი რეალიზაციიდან	13,410,79 1	12,901,28 0
შემოსავალი შესრულებული სამუშაოდან		
შემოსავალი მომსახურებიდან	-	-
	13,410,79 1	12,901,28 0

12. თვითღირებულება

	31/12/2022	31/12/2021
რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება	11,150,24 5	10,786,77 2
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება	-	-
მომსახურების თვითღირებულება	-	-
	11,150,24 5	10,786,77 2

13. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
სარეკლამო ხარჯები	-	-
მარკეტინგული ხარჯი	-	-
შრომის ანაზღაურება და საკომისიო	-	-
ტრანსპორტირება და შენახვის ხარჯი	102,441	111,686
საწვავი	-	64,124

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
შრომის ანაზღაურება	848,41	735,90
	7	2
ცვეთა და ამორტიზაცია	112,56	71,15
	3	9
საგადასახადო ხარჯი	11,93	11,54
	9	6
საკონსულტაციო ხარჯი	-	15
	-	0
რემონტის ხარჯი	-	-
ბანკის მომსახურება	3,12	30,91
	7	3
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-
იჯარის ხარჯი	34,50	53,33
	0	1
მივლინების ხარჯები	8,37	7,21
	0	5
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	227,59	62,40
	3	7
კომუნიკაციის ხარჯები	7,16	7,31
	1	6
კომუნალური ხარჯები	30,58	27,12
	4	8
დაზღვევის ხარჯი	5,61	4,61
	6	4
საკანცელარიო ხარჯი	-	7,50
	-	8
	1,289,86	1,019,18
	9	8

15. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
მოგების გადასახადის ხარჯი	43,86	23,04
	8	1
	43,868	23,041

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ

შესაფასებლად.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდეს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

17. პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები
განაწილებული დივიდენდი

2023 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების შესახებ;

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.